# ბრაზის გამოხატვის ფორმების კავშირი მსჯავრდებულებში მარტოობის განცდასთან

**გვანცა ოშხერელი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, პროფესორი**

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2018**

განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

გვანცა ოშხერელი ----------

# აბსტრაქტი

ემოციების იდენტიფიცირება და შეფასება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსჯავრდებულების ფსიქიკური ადაპტაციისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ისეთი ემოციები, რომლებიც რთულად კონტროლირებადია პენიტენციურ გარემოში. მოცემულ კვლევაში აქცენტი გაკეთდა ნეგატიურ ემოციებზე, რომლებიც ხელს უშლის პენიტენციურ სტრესთან გამკლავებას და პიროვნების სრულყოფილად ფუნქციონირებას. კვლევის ფარგლებში შევისწავლე, თუ მარგინალიზებული ჯგუფის წევრები, ძირითადად, ბრაზის გამოხატვის რომელ ფორმებს იყენებენ და როგორია მათი მარტოობის განცდის დონე. კვლევა, აგრეთვე ითვალისწინებს კავშირების დანახვას აღნიშნულ ორ უარყოფით ემოციას შორის, კერძოდ, მარტოობის განცდის სხვადასხვა დონე რამდენად დაკავშირებულია ბრაზის გამოხატვის სხვადასხვა ფორმასთან. კვლევაში მოპოვებული მონაცემები რაოდენობრივია, თუმცა საყურადღებოა ბრაზის გამომწვევი კონტექსტუალური ფაქტორები.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ბრაზი, მარტოობის განცდა, დეპრესია.

**Abstract**

Identification and evaluation of emotions play significant role to the purpose of keeping good health and mental adaptation of the convicted offenders. The emotions that are difficult to control in the penitentiary environment demand special attention. In the given research the emphasis was made to the negative emotions, that obstruct to overcome penitentiary stress and completed functioning of the person. During the research process, I have studied the marginalized group of people, specifically, their emotional degrees of loneliness and ways of anger expression. Additionally, the paper considers the connections between these two negative emotions, particularly, emotional degrees of loneliness relationships to the different ways of anger expression. Collected data is quantitative, however, it is trustworthy to pay attention to the contextual factors that evoke anger.

**Key words: anger, loneliness, depression.**